

გამოყენების ინსტრუქცია ვიტამინი AD3E

საინექციო ხსნარი

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის

შემადგენლობა

1 მლ შეიცავს: ვიტამინი A- 30. 000 ს.ე., ვიტამინი D₃ - 40 000 ს.ე., ვიტამინი E - 20 მგ.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ვიტამინი A ხელს უწყობს ზრდას, უზრუნველყოფს ეპითელური ქსოვილების, კონიუნქტივა, რქოვანას და ა.შ. ნორმალურ ფუნქციონირებას. ის მონაწილეობს როდოფსინის სინთეზში და აძლიერებს ბადურას სინათლისადმი მგრძობელობას. ასევე, იგი მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე დაჟანგვის პროცესებში, განსაკუთრებით კი უჯერი ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვაში. ვიტამინი A-ს დეფიციტის შემთხვევაში ზრდა ჩერდება, ძვლის განვითარება ფერხდება, მცირდება რეპროდუქციული უნარი, კანი ხდება უხეში და მშრალი, რქოვანა რბილდება, ვითარდება მშრალი თვალის სინდრომი და ღამის სიბრმავე.

ვიტამინი D მნიშვნელოვან როლს თამაშობს კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმზე და მოზარდულის ძვლების ზრდაზე. მისი მთავარი ფიზიოლოგიური ფუნქციაა — ხელი შეუწყოს კალციუმისა და ფოსფორის ნორმალურ შეწოვას წვრილ ნაწლავში. ვიტამინი D-ს მეტაბოლურად აქტიური ფორმა არეგულირებს კალციუმის რეაბსორბციას თირკმელების მილაკებში, ინარჩუნებს კალციუმის დონეს სისხლში და ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის ნორმალურ განვითარებას.

ვიტამინ E-ს შეუძლია ორგანიზმში უჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და სხვა ჟანგვადი ნივთიერებების დაჟანგვის თავიდან აცილება, უჯრედული მემბრანების მთლიანობის დაცვა და მათი ნორმალური ფუნქციების შენარჩუნება. ვიტამინი E მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოველების რეპროდუქციულ ფუნქციასთან — ის ხელს უწყობს სასქესო ჯირკვლების განვითარებას, მაკობის შენარჩუნებას და აბორტების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ვიტამინი E აუმჯობესებს ცხოველის დაავადებებისადმი წინააღმდეგობას და აძლიერებს სტრესის საწინააღმდეგო მოქმედებას.

ნაღვლისა და პანკრეასის ნორმალური სეკრეცია ხელს უწყობს ვიტამინი E-ს შეწოვას პერორალურად მიღებისას. ვიტამინი E ორგანიზმში ძირითადად ღვიძლში ინახება, თუმცა ის მნიშვნელოვნად ნაკლები რაოდენობით ინახება, ვიდრე ვიტამინი A. ეს პროდუქტი მეტაბოლიზდება ღვიძლში და გამოიყოფა ძირითადად ნაღვლის საშუალებით. თუ რაციონში ვიტამინი E - ს ნაკლებობაა, ღვიძლში დაგროვილი მისი მარაგი ადვილად ამოწურვადია.

ვიტამინი E-ს დეფიციტით ცხოველს შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვა სახის ფუნქციური დარღვევები. ვიტამინი E ასევე შეიძლება გავლენას ახდენდეს ციკლოსპორინის ფარმაკოკინეტიკაზე, ამიტომ ერთდროული გამოყენებისას უნდა მოხდეს ციკლოსპორინის კონცენტრაციის მონიტორინგი სისხლში.

სამიზნე სახეობები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი, კვიცი, ხბო, ბატკანი, თიკანი, გოჭი, ბოცვერი, ბაჭია.

ჩვენებები:

ვიტამინების ნაკლებობის პროფილაქტიკა და მკურნალობა. მიკრობული ინფექციების და პარაზიტარული დაავადებებისადმი წინააღმდეგობის გაზრდა. უნაყოფობა მამრებსა და მდედრებში, კალციუმის ნაკლებობა ძვლებში.

ვიტამინების დეფიციტის გამოსწორება
მეტაბოლური დარღვევების კორექცია
ნაყოფიერების პრობლემების მკურნალობა
მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ გართულებების პრევენცია (მაგ. საშვილოსნოს პროლაფსი)
ცხოველის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება
სიცოცხლისუნარიანობის, ენერჯისა და ამტანობის აღდგენა

გამოყენების წესი, დოზირება:

კუნთში, კანქვეშ საინექციოდ. შემდეგი დოზებით (ერთ ცხოველზე გაანგარიშებით):

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს: 5-6 მლ

ცხენებს, ღორს: 3-5 მლ

ცხვრებს, თხებს: 1-2 მლ

კვიცებს, ხბოებს: 2-3 მლ

ბატკნებს, თიკნებს, მეძუძურ გოჭებს: 1 მლ

ასხლეტილ და სარემონტო გოჭებს: 1,5 მლ

ბოცვერს: 0,2 მლ, ბაჭიას 0,1 მლ

პროფილაქტიკისთვის პრეპარატი შეჰყავთ 2-3 კვირაში ერთხელ, მკურნალობისთვის 7-10 დღეში ერთხელ.

უკუჩვენებები

ჰიპერმგრძობელობა მოქმედი ნივთიერებების ან დამხმარე კომპონენტების მიმართ

გვერდითი რეაქციები

რეკომენდებული დოზირების მიხედვით, გვერდითი რეაქციები არ დაფიქსირებულა.

სპეციალური გაფრთხილება

ვიტამინი E-ს გაზრდილმა დოზებმა შეიძლება შეაფერხოს რკინადეფიციტური ანემიის საწინააღმდეგო პრეპარატების თერაპიული ეფექტი.

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მაკების, ლაქტაციის ან მშობიარობის პერიოდში გამოყენება

ვიტამინი E-მ იშვიათად შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები, მათ შორის სიკვდილი, აბორტი ან ნაადრევი მშობიარობა. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია დაუყოვნებლივ ჩარევა ეპინეფრინით ან ანტიჰისტამინური პრეპარატებით.

ურთიერთქმედება სხვა მედიკამენტებთან ან ურთიერთქმედების სხვა ფორმებთან:

E ვიტამინს და სელენს ახასიათებთ სინერგიული ეფექტი. E ვიტამინის დიდი დოზები აფერხებს რკინადეფიციტური ანემიის საწინააღმდეგო პრეპარატების თერაპიულ ეფექტს. თხევადი პარაფინი და ნეომიცინი ამცირებს პრეპარატის შეწოვას.

ალუმინის ჰიდროქსიდს შეუძლია შეამციროს ქოლინის დონე წვრილი ნაწლავის ზედა სეგმენტში და გავლენა მოახდინოს ვიტამინი A - ს შეწოვაზე. მინერალურ ზეთს და ნეომიცინს შეუძლიათ ხელი შეუშალონ A ვიტამინის შეწოვას. ვიტამინი A-ს დიდმა დოზამ შეიძლება შეამციროს გლუკოკორტიკოიდების ანთების საწინააღმდეგო ეფექტი.

თხევადი პარაფინის და ნეომიცინის ხანგრძლივი და მაღალი დოზებით გამოყენება ამცირებს ვიტამინი D-ს შეწოვას. ფენობარბიტალმა და სხვა სამკურნალო ფერმენტების ინდუქტორებმა შეიძლება დააჩქარონ ვიტამინი D-ს მეტაბოლიზმი.

ზედოზირების სიმპტომები და მკურნალობა

არ არის საჭირო

ლოდინის პერიოდი

არ საჭიროებს

შენახვის პირობები

ინახება მჭიდროდ დახურულ ფლაკონში, სინათლისგან დაცულ ადგილას, 30°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

გამოშვების ფორმა: 100მლ საინექციო ხსნარი მოთავსებული მუქი ფერის მინის ფლაკონში, მჭიდროდ დახურული რეზინის საცობით, ალუმინის ჩაჩითა და პლასტმასის მოსაძრობი თავსახურით პირველი გახსნის კონტროლისთვის და მოთავსებული მუყაოს კოლოფში

ფარმაკო-თერაპიული ჯგუფი: ვიტამინები, ATCvet code: QA11JA-ვიტამინების კომბინაცია

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას!

გამოიყენება მხოლოდ ვეტერინარიული მიზნებისათვის.

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: შპს ბიოტეკსი / Biotecsi LLC

მისამართი: საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ. №8